ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

იოანე ზოსიმე

კრებული

იოანე ზოსიმე

კრებული

ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ

დამარხულ არს ენაჲ ქართული დღედმდე მეორედ მოსლვისა მისისა საწამებელად, რაჲთა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა

და ესე ენაჲმძინარე არს დღესამომდე, და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქჳან.

და ახალმან ნინო მოაქცია და ჰელენე დედოფალმან, ესე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამ და მართა.და მეგობრობაჲ ამისთჳს თქუა, ვითარმედ ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარხულ არს.და ოთხისა დღისა მკუდარი ამისთჳს თქუა დავით წინაჲსწარმეტყუელმან, რამეთუ » წელი ათასი, ვითარცა ერთიდღჱ»,-

და სახარებასა შინა ქართულსა თავსა ხოლო მათჱსსა წილი ზის რომელ ასოჲ არს და იტყჳს ყოვლად ოთხ- ათასსა მარაგსა;-და ესე არს ოთხი დღჱ, და ოთხისა დღისა მკუდარი, ამისთჳს მისთანავე დაფლული სიკუდილითა ნათლის-ღებისა მამისაჲთა.და ესე ენაჲ შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსლვისა უფლისასა, და სასწაულად ესე აქუს ოთხმეოც- და ათოთხმეტი წელი უმეტჱს სხუათა ენათა ქრისტჱს მოსლვითგან დღესამომდე.და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მოწამედ წარმოგითხარ ესე წილი ანბანისაჲ.

გუნდნი იგი ზეცისანი

გუნდნი იგი ზეცისანი შენ, წმიდასა, განწყობითნი გიგალობენ: მე უღირსი შეგივრდები, რათა ვიყო მათთანავე შენგან უძაგ, ესე შესხმა სულიერი, შენ მიერვე მოცემული, კაცთა მიერ მოღუაწეთა ფრიად სიბრძნით გამოთქუმით[ა] შეიწირე ჩემ მიერცა კაცთ-მოყვარე. ორთა მიერ ბრწყინვალეთა

ღმრთისა კაცთა, სასურველთა იღრმითა მით გულისაჲთა, სათნოდ ღმრთისა შეკრებილი, ვითარცა რაჲ მარგალიტი ურიცხჳსა სასყიდლისა,

ჩუენ მოგუეცა მორწმუნენო, რათა ჩუენცა ვიხარებდეთ შუენიერად დატკბობილნი, ჴმათა მათთა სიმრავლითა, გალობითა ბრწყინვალითა, შესხმითა მით წმიდათაჲთა, რომლითაცა იდიდები შენ სახიერ! განგჴმრავლე ქველის მოქმედ, განძი ესე სულიერი, მოცემული შენმიერი, ძალსა მისსა მყვენ მომწდომელ რათა არა იყოს ჩუენდა აუგ. იხმარებდით მოძღურებითა სულიერად შესხმისაჲთა, ϩ კრებულო მსწავლულთაო, ურთიდეთ რაჲ სიტყუათა მათ გალობითა ჴმეან[ი]თა, რომელთაგან იდიდების კაცთმოყუარე ღმერთი ჩუენი.